№1330 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

შპს „ქართული სოკოს“ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

1. „შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ღონისძიებების დეტალური აღწერილობების“ (დანართი №2) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ პროექტით გათვალისწინებული შეზღუდვები არ გავრცელდეს შპს „ქართულ სოკოზე“ (ს/კ 405102357) და ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიეცეს უფლება, განიხილოს შპს „ქართული სოკოს“ მიერ წარდგენილი პროექტი/ბიზნესგეგმა პროექტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

2. „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ღონისძიებების დეტალური აღწერილობებით“ განსაზღვრული საგრანტო კომიტეტის მიერ შპს „ქართული სოკოს“ ბიზნესგეგმის დამტკიცების შემთხვევაში, ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის

პროექტების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს შპს „ქართული სოკოს“ მიერ ბანკიდან მიღებული კრედიტის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება „შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობების“ (დანართი №1) შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**